ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №32050101/2013/005/01/271
CPV 55100000-სასტუმროს მომსახურება

ქ. თბილისი 12 ნოემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. „საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების“ (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის გიგა უმეკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი – ემ|გრუპ˜ მისი გენერალური დირექტორის გიორგი ჩუბინიშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სააგენტოს საკუთარი შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში(პროგრამა UNICEF) სასტუმროს მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

– მიმდინარე წლის 16-17 ნოემბერს საჯარო სკოლების ჰიგიენის გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებული კონფერენციის გამართვა 16 პერსონაზე სასტუმრო კომპლექსში“ყვარლის ტბა“., მომსახურების დეტალური აღწერილობა მითითებულია დანართში. დანართი 2 ფურცლად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2920.50 (ორი ათას ცხრაასოცი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მომსახურების მიწოდების ადგილია სასტუმრო კომპლექსი „კურორტი ყვარლის ტბა“-ს ადგილსამყოფელი.

4.2 მომსახურების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს თანამშრომელი ნატალია რუხაძე.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება

პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5 %-ს.

8.6 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით / ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებს.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო მისამართი: ქ. თბილისი ალექსიძის ქ. №1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს.კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა ა/ა200122900 კოდი; 220101222	სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი - ემ|გრუპ˜ მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის ქ. №2 ს/კ 205073016 ს.ს „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE45TB7619136020100019
დირექტორი: გიგა უმეკაშვილი	გენერალური დირექტორი გიორგი ჩუბინიშვილი
---------- (ხელმოწერა)	---------- (ხელმოწერა)

KVARELI LAKE RESORT — kurorti yvarlis tba

Invoice Date	**17.11.2013**	ინვოისის თარიღი	**17.11.2013**
Invoice No.	**111113-1**	ინვოისის ნომერი	**111113-1**
Company	**Hotels and Restaurants Management Group - M|Group JSC**	მომსახურების გამწევი	სს "სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი" - **em|grup"**
Head office address, ZIP	**2 M. Gelovani Ave, Tbilisi, Georgia , 0159**	სათაო ოფისის მისამართი, zip კოდი	მარშალ გელოვანის **2,** თბილისი, საქართველო, **0159**
I/N	**205073016**	ს/წ	**205073016**
Bank Account	**TBC Bank - Central Branch**	საბანკო ანგარიში	თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი
Acc.№	**GE 45 TB 7619136 020100019 GEL**	ანგ.№	**GE 45 TB 7619136 020100019 GEL**
m|info phone number	**+995 32 30 30 30**	მ|ინფოს ტელეფონი	**+995 32 30 30 30**
Reception Phone	**+995 32 30 50 90**	მისაღების ტელეფონი	**+995 32 30 50 90**
Site	www.kvarelilakeresort.ge	საიტი	www.kvarelilakeresort.ge
e-mail	welcome@kvarelilakeresort.ge	ელ-ფოსტა	welcome@kvarelilakeresort.ge
Fax	**+995 32 30 50 94**	ფაქსი	**+995 32 30 50 94**
Bill To		მომსახურების მიმღები	
Guest name	**Ministry of Aducation**	სტუმრის სახელი, გვარი	განათლების სამინისტრო
Phone	+995 55 77 22 44 00	ტელეფონი	+995 55 77 22 44 00
E-Mail	natalia@bbc.ge	ელექტრონული ფოსტა	natalia@bbc.ge
Form of payment	//	ანგარიშსწორების სახე	

Final Invoice

saboloo invoisi

Service Description		Amount	მომსახურების დასახელება		თანხა
Hotel Services			**სასტუმროს მომსახურება**		
Check-in Date:	16/11/2013		შემოსვლის თარიღი	16/11/2013	
Check-out Date:	17/11/2013		გასვლის თარიღი	17/11/2013	
Room Service	100 103 105 106 107 108 109 117	**1,474.58**	ოთახის მომსახურება	100 103 105 106 107 108 109 117	**1,474.58**
Mini Bar Service			მინი ბარის მომსახურება		
		-			-
		-			-
		-			-
Bakhmaro (Spring Water)	1	2.54	წყაროს წყალი "ბახმარო"	1	2.54
		-			-
		-			-
		-			-
#REF!	#REF!	#REF!	#REF!	#REF!	#REF!
		-			-
		-			-
Hazelnuts	1	4.24	თხილი	1	4.24
		-			-
Sub-Total		**6.78**	ჯამი		**6.78**
Other Services			**სხვა მომსახურება**		
Restourant Service		545.81	რესტორნის მომსახურება		545.81
		-			-
		-			-
		-			-
Conference Service		305.08	საკონფერენციო დარბაზი		305.08
Coffee Brake		142.37	ყავის შესვენება		142.37
		-			-
		-			-
		-			-
		-			-
		-			-
Sub-Total		**993.26**	ჯამი		**993.26**

Total	2,474.62	ჯამი	2,474.62
VAT	445.43	დღგ	445.43
Amount Including VAT	2,920.05	თანხა დღგ-ს ჩათვლით	2,920.05
	-		-
	-		-
Total Payable Amount	2,920.05	**სულ გადასახდელი თანხა**	2,920.05

Administrator signature ..... ადმინისტრატორის ხელმოწერა

Guest signature ..... სტუმრის ხელმოწერა

Thanks For Letting Us Serve You!

მადლობთ რომ გვაძლევთ თქვენი მომსახურების საშუალებას!

პროგრამა „ყვარლის ტბა“

16.11.2013

გამგზავრება თბილისიდან ყვარლის მიმართულებით: 10:30

ჩასვლა ყვარელში და დაბინავება სასტუმრო „ყვარლის ტბა“-ზე - 13:30

სადილი: 14:00 – 14:30

კონფერენცია: 15:00 – 18:00

ყავის შესვენება: 17:00

ვახშამი: 18:30 – 20:00

დასვენება:

17.11.2013

საუზმე: 09:00 – 10:00

კონფერენცია: 11:00 – 15:00

ყავის შესვენება: 13:00

გამომგზავრება თბილიში: 16:00